№ 48 8 დეკემბერი **1872** 8 დეკემბერი № 48

გაზეთის ფასი:

გაგზავნით, გაუგზავნელად

	გაგზავნით			გაუგზავნელად		
ერთის წლისა —	6	მან.	კაპ.	5	მან.	კაპ.
ნახევრის წლისა	3	»	»	2	»	»
სამი თვისა —	1	»	75	1	»	50
ერთის თვისა —	»	»	60	»	»	50
ცალკე ნომრის —	»	»	12	»	»	10

განცხადებანი, «დროებაში» დასაბეჭდათ, მიიღება სხვა და სხვა ენებზე. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივის ასოებით, სტრიქონზე 4 კაპ. და ასო-მთავრულებით — ასოზე 1/4 კაპ.

დროება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეშვიდე

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში: «დროების» რედაქციის კანტორაში (გ. წერეთლის და ამხ. სტამბაში, ბებუთოვის სახლებში).

ქუთაისში: გერასიმე კალანდარიშვილთან (სასულიერო სასწავლებელში).

გარეშე მცხოვრებთა შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება: *Въ Тифлисъ. Въ контору редакціи газеты «ВРЕМЯ», при типографіи Г. Церетели.*

გამოდის კვირაში ერთხელ, ხარასკეობით.

მომავალს 1873 წელს

«დროება»

გამოვა თავის ძველებური პროგრამმისა და მიმართულების შეუცვლელად, და იმავე თანამშრომელების დახმარებით, რომელნიც წარსულ წლებში იღებდნენ გაზეთში მონაწილეობასა.

ხელის-მოწერა

მიიღება — თფილისში — «დროების» რედაქციის კანტორაში, ხანის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლებში, სადაც დუბილერის (გ. წერეთლის და კამპ.) სტამბა იმყოფება.

ქუთაისში — გერასიმე კალანდარიშვილთან და სიმონ მესხთან.

სიღნაღს — რაჟდენ ციციშვილთან, თელავს — თ. ლევ. ჯანდიერთან, ყვარელს და ლაგოდეხს — ალ. მარჯანოვთან, ახალ-სენაკს — ნიკ. დგებუაძესთან, ონს — გ. კლდიაშვილთან, ფოთს — ზ. არუწოვთან, ყვირილას — დ. დამბაშიძესთან, ხონს — გ. ჩიქოვანთან და ოზურგეთს — მელიტონ დოდოზრიძესთან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა აგრეთვე შემდეგი ადრესით შეუძლიანთ დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты «ВРЕМЯ.»

ხელ-მოსაწერი ფასი

	გაგზავნით.		გაუგზავ.	
	მან.	კაპ.	მან.	კაპ.
ერთი წლისა — — — — — — — — —	6	»	5	»
ნახევარის წლისა — — — — — — — —	3		2	50
სამის თვისა — — — — — — — — —	1	75	1	50
ერთის თვისა — — — — — — — — —	»	60	»	50

ახალ ხელის-მომწერლებს უმორჩილესად ვთხოვთ, თავიანთი ადრესი გარკვევით დაწერილი გამოგვიგზავნონ და აგრეთვე შეგვატყობინონ ყოველთვის, როდესაც საცხოვრებელ ადგილს გამოიცვლიან.

ვთხოვთ აგრეთვე, რომ ხელის-მოწერის ხვედრი ფული გაზეთის დაბარებისა-თანვე გამოგვიგზავნონ.

რედაქტორი და გამომცემელი სერგეი მესხი.

შინაარსი:

რედაქციის განცხადება. — საქართველო: — ჩვენი ბანკების საქმე, — კავკასიის შემოსავალი, — წვრილი ამბები. — «დროების» კორრესპონდენცია: ოზურგეთიდამ, — წიგნი რედაქტორთან, — ყვირილიდამ თფილისამდი. — რუსეთი: წვრილი ამბები. — უცხო ქვეყნები: საფრანგეთი, — ისპანია, — ამერიკა. — ს მართალი. — შორაპნელის შენიშვნაზე. — განცხადება. —

ფელტონი: ცხელ-ცხელი ამბები. — აკაკის.

საქართველო

ჩვენი ბანკების საქმე

დღეს ჩვენ შეგვიძლია ერთი დიდათ სასიამოვნო ამბავი ვაცნობოთ ჩვენ მკითხველებსა: გუშინ, დეკემბრის ხუთს, თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის კრებამ გადასწყვიტა საქმე, რომელიც დიდი ხანია სულს უწუხებდა ჩვენ მემამულეებსა და რომლის დაბოლოებას ამდენი ხანია მოელოდა ჩვენში ყველა, ვისაც კი ჩვენი ქვეყნის ნივთიერად და ზნეობით წარმატება სურდა; ჩვენ ვამბობთ თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის ბანკზე. ოთხშაბათის თავად-აზნაურობის საზოგადო კრებამ თითქმის ერთხმით მიიღო ისეთი ბანკის წესდებულების პროექტი, რომელსაც «საადგილ-მამულო» (поземельный) ბანკს ეძახიან.

არც საზოგადოთ ამ წესდებულებაზე და არც კერძოთ იმის ცალკე მუხლებზე ჩვენ აქ არას ვიტყვით; ვიტყვით მხოლოთ, რომ ამ წესდებულების ძალით, თფილისის თავად-აზნაურობის საზოგადო ბანკიდამ ყოველ მონაწილეს ორ-გვარი სესხის აღება შეუძლია: ხან-გრძლივისა (ზოგ გირაოზე 18 წლამდი და ზოგზე 53 წლამდი) და ხან-მოკლესი (1—3 წლამდი). პატარ-პატარა ბანკები ხან-მოკლე სესხისა უეზდებში გაიხსნება. მაშასადამე ეს პროექტი ორივე მხარეს დააკმაყოფილებს: იმასაც, რომელიც «საუეზდო კრედიტის საზოგადოებებს ანუ ამხანაგობებს» თხოულობდა, და იმასაც, რომელიც ერთს საზოგადო ცენტრალურ ბანკს თხოულობდა.

ეხლა ეს თავად-აზნაურობისაგან მიღებული წესდებულების პროექტი მმართებლობას უნდა წარედგინოს და იმისაგან უნდა დამტკიცდეს. ამ საქმის მალე შესრულება და

ფელტონი

ცხელ-ცხელი ამბები

ჩვენში, სხვათა შორის, ორი საუცხოვო ჩვეულება არის: კაცს რომ შეეყრებიან, გამარჯობის ნატვრა და რომ მოშორდებიან, გამოთხოვების დროს, გზის დალოცვა. «ღმერთმა კარგი გზა მოგცეს!» «ღმერთმა კარგს გზაზედ დაგაყენოსო!» იტყვიან ხოლმე ხშირათ. მაგრამ, ღმერთთან სწორი სჯობს, როგორღაც ძალიან კი ვერ სჭრის ეს ლოცვა: კარგს გზაზედ დამდგარს დიდი ხანია ბევრს ვერა ვხედავთ! ამ ლოცვამ მხოლოდ მუნდირებზედ გასჭრა: ისინი რომ გზაზედ დგანან და იმათ რომ ღმერთმა გზები მისცათ, უკეთესი ტყუილია!... გულის საჯერო, კეთილსახვეჭავ და ყელზედ საბელის შემბმელი: და მართლათაც რომ ის მუნდირები ღირსნი არიან მათის მოქმედებით, რომ კეთილად ხვეჭონ და ყელთა იბან! ჩემის ჰაზრით, არა თუ თითოსი, ორ-ორი ყელ-საბმელების ღირსნიც არიან! ის კეთილ-შინიჭებული გზები, მათის ცხოვრების იდეალი და მათის გულის სარკე, თუმცა მეტად მიხვეულ-მოხვეული და დახლართული არიან, მაგრამ, საკვირველებისა გამო სხივსა და სხვისა, ქალალდზედ კი ლარზედ უსწორესათ გამოდიან. თუმცა სნეულობენ, მაგრამ მუნდირები კარგათ ჰკურნავენ.

ეგება იკითხოს ვინმემ: გზებს რა სნეულება უნდა სჭირდესო? აი რა: მგონია, დიდი ჭია აწუხებსთ, რომ მათს გაძლომას აღარ ეშველარა!.. ღორ-მუცლები არიან და მას გარდა იმ საცოდავებს ბარში მეწყერი აწუხებსთ, მთაში ტალახი და უწყლო ადგილებში წყლები ხიდებს უნგრევენ!.... მაგრამ არა უჭირს რა: მათმა ექიმებმა, ე. ი. მუნდირებმა, რეცეფტების შედგენა იციან და აფთიექიც გულ-უხვია: არჩენენ. არჩენენ გზებს, მაგრამ ის სულელები კი მაინც საჩივარში არიან გამვლელ-გამომვლელებთან: «რა დანაშაული გვაქვს ამ გლეხებთან, რომ დილიდამ საღამომდი თავში ჩაქუჩს გვირტყამენ, თავზედ ქვებს გვაყრიან და გულს გვიკოდენო? ქირას რომ ვინმე აძლევდეს, კიდევ იტყვის კაციო, მაგრამ ეს არის საკვირველი, რომ ყოვლის უსასყიდლოთ გვტკეპნიანო! ესეც უნდა ვსთქვათ კი, რომ უმეტესი ნაწილი გლეხებისა ფულსაც იხდიან, ოღონდ იმ საცოდავ გზებს ნუ გაგვალახვინებთ, ჩვენთვის გაგვიშვიო, მაგრამ ან ის დანარჩენნი რათ გვაწუხებენ? ჩაგვცივებიან, რომ მაინცა და მაინც, გინდათ თუ არა, უნდა გაგწმინდოთო! ჩვენც გვწმენდენ ჩვენი მუნდირებიო და იმათი გაწმენდა კი არ მოხერხდება: დიდი კაცები არიანო!»

აი, ასე სჩივიან გზები და რა საფუძველი აქვსთ — არ ვიცით! ამას კი ვიტყვით, რომ მუნდირები ძალიან ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. მაგალითად, ერთმა მუნდირმა სოფლის სასამართლოში სიტყვიერი ბრძანება გასცა, რომ, რადგანაც თქვენს წარმატებაზედა და განათლებაზედ ვფიქრობ, «კოლოსბუზებზე» დაწერილი ლექსი დაისწავლეთო და უბრძანა მწერალს, რომ მათთვის ეკითხა ხოლმე ის ლექსი კვირაობით და უქმე-დღეობით, როდესაც გლეხები სასამართლოში თავს მოიყრიან ხოლმე. —

აი, ამისთანა მცდელი და ჩიხრიხები არიან ის მუნდირები, გარდა ერთი-ორისა და მათზედ კი ამაებს ვერ ვიტყვით, მაგრამ იმასაც შედარებით. ბევრი რამ საქები და სასახელო შეგვიძლია მათზედ რომ ვსთქვათ, მაგრამ მომრიგებელთ შუამავლებს გული დასწყდებათ, რატომ ჩვენც არ გვაქესო, და ამისათვის იმათ მიუბრუნდებით ახლა. — იმათი შრომის შედეგი დანახული გვაქვს ყველას და მათზედ ლაპარაკი აღარ ღირს. მხოლოდ ამას ვიტყვით, რომ ახლა შრომა მოემატათ, რადგანაც «პოდვორნია ოპისს» ადგენენ, ე. ი. რომელ გლეხს რამდენი შემოსავალი აქვს წელიწადში პურის, ღვინის, ღომის, სიმიდის, ქერის და სხვა ამგვარების. — მაგრამ ერთი ახირებული შემთხვევა ეს არის, რომ გლეხები ნაკლებს აჩვენებენ და ბატონები მეტს; მაგრამ მომრიგებელი შუამავლები არაცერთს გულს არ სწყვეტენ: ისინიც მეტნაკლებს აჩვენებენ, და ამგვარად გლეხებისკენაც არიან და მებატონეებისკენაც, როგორც შეჰფერის შუამავალს. — მეორე ახირებ ულიც ის არის, რომ არ იციან აწერის დროს პირველს ხაზში რა ჩაწერონ: სიმიდი, თუ ღომი? ზოგი ამტკიცებს სიმიდიო, რადგანაც ღომზედ მსხვილი მარცვლები აქვსო, და ზოგი ღომისკენ არის: მართალია, ღომს წვრილი მარცვლები აქვსო, მაგრამ უფრო საპატიოა და ის უნდა ჩაიწეროს პირველს ხაზშიო!... რჩევა აქვსთ და ჯერ კი ვერ გადაუწყვეტიათ და შენ მოუმართე ხელი მათ, წმინდაო გიორგი!

მესამე ამბავი ეს არის, რომ ქუთაისში აქციონერები ბანკის გამართვას აპირებენ. ეგება ბევრმა არ იცოდეს, რას ნიშნავს სიტყვა «აქციონერები» და ჩვენ აი რას მოვახსენებთ: ეს ლექსი არის ორის ქართულის ლექსისაგან შემდგარი: «აქციონ» და «ერები», ე. ი. სადაც ის ბანკი გაიმართება, რა ხალხშიაც, რა ერშიდაც, ის ხალხი, ის ერი, უთუოთ დაიღუპება, დაიქცევა და ამისათვის იმ ბანკის შემდგენლებს აქციონერები ჰქვიან. ამ სიტყვას ყურადღებით რომ მოისმენდენ ჩვენები, საჭირო არის, თორემ «პრუშჩაით მამულებო», მშვიდობით გირაოებო! და მაშინ ზენა-აზრიც შესრულებული იქნება! გულით დაჭერილს ყურით დაჭერილი გერჩიოსო, ამბობენ ნემეცები!... აქ ბოდიშს ვიხდი მკითხველებთან, რომ ასე მალე გავათავე ჩემი ამბები, მაგრამ გული ნუ დასწყდება: მომავალის წლისთვის ბევრს საინტერესოს, ე. ი. იმისთანა რამეს მოვახსენებთ, რომ «არ მეგონაო» იძახოდეს....

აკაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშასადამე თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის საზოგადო ბანკის გახსნა და იმის მალე მოქმედების დაწყება იმ პირებზე ან იმ პირზე იქნება დამოკიდებული, რომელმაც ამ წესდებულების დამტკიცებისათვის მმართებლობასთან უნდა იშუამდგომლოს.

ვინატროთ ყველამ, რომ ეს საქმე მალე გათავებულიყოს და თფილისის გუბერნიის თავად-აზოაურობის ბანკს მალე დაეწყოს თავის მოქმედება, ჩვენი ყოველის მხრით შეეიწროებულის მემამულეების სასიკეთოთ და ჩვენი ღარიბი ქვეყნის საკეთილ-დღეოთა.

ეხლა ჩვენ ქუთაისის ბანკზედაც გვინდა ორიოდე სიტყვა ვსთქვათ.

ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის თაობაზე უკანასკნელ დროს თითქმის სრულიად არაფერი არ ისმის; მაგრამ რას ვამბობ «ამ უკანასკნელ დროს»? ამ ექვსი წლის განმავლობაში მხოლოთ ის ვიცით, რომ ქუთაისის თავად-აზნაურობის კრებამ ბანკის პროექტის დასაწერად 24 კაცი ამოირჩია; მაგრამ აკეთებდნენ ისინი ამ საქმისათვის რასმე, თუ არა, არა სჩანს. მხოლოთ ერთმა კომიტეტის წევრმა, ისიც ძალა-უნებურათ, გამოაცხადა ამას წინათ, რომ ჩვენ «არა ნაკლებ სხვებთა ვსცდილობთ და ვმეცადინეობთ ამ საზოგადო საქმისთვისაო;» მაგრამ ეს მეცადინეობა კი არსაიდამ არა სჩანს და!

ამბობენ, ქუთაისის თავად-აზნაურობა თფილისის ბანკის საქმის გადაწყვეტას უცდიდაო. თუ ეს მართალია, აა, ამასაც მოესწრენ. მაშ იმედია, რომ ეხლა მოსპობენ იმ ოლიმპიურ უმოძრაობასა, რომელშიაც დღემდი იმყოფებოდნენ და აღარ დაუწყებენ ცდას, რომ იმათმა კომიტეტმა ეს საქმე სისრულეში მოიყვანოს. ღმერთმანი, ამ კომიტეტმა ექვსი წლის უმოქმედობით ნათლათ დაგვიმტკიცა, რომ იმას ამ საქმის სისრულეში მოყვანა სრულებით არ შეუძლია. კმარა ამდენი იმის შეცქერა, კმარა ამდენი ლოდინი და მოთმინება!...

ჩვენის აზრით, ქუთაისის თავად-აზნაურობის წინამძღოლელმა უნდა მოიწვიოს იმერეთისა და სამეგრელოს თავად-აზნაურები და არა-ჩვეულებრივი კრება უნდა შეადგინოს, ბანკის თაობაზე მოსალაპარაკებელად. რაც უფრო მალე მოახდენს ამ განკარგულებას ქუთაისის გუბერნიის მარშალი, ის უმჯობესი იქნება. საზოგადო კრება აირჩევს ახალს კომიტეტს (რადგან ძველ კომიტეტს, ექვსი წლის შრომის შემდეგ, მოსვენება დასჭირდება), რომელიც ბევრი-ბევრი ერთი კვირის განმავლობაში შეადგენს ახალს პროექტს იმ საფუძველზე, რომელსაც მას საზოგადო კრება უჩვენებს. პროექტის შედგენა ძნელი საქმე არ არის, რადგან მმართებლობისაგან ყოველგვარი ბანკების ნარმალური პროექტები დამტკიცებულია და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა, უეჭველია, ერთსა და ერთს ამ ბანკების წესდებულებას მიიღებს თავის ბანკისათვის საფუძვლათა.

მაგრამ იმერლებს ამ პროექტების ძებნა არცკი დასჭირდებათ: თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა ბევრი პროექტების გასინჯვის შემდეგ, გაჩერდა ხარკოვის საადგილმამულო ბანკის წესდებულებაზე და თავის ბანკისათვისაც ის მიიღო სახელმძღვანელოდ.

მაშა სადმე ამ მხრით არავითარი დაბრკოლება არ იქნება; და საზოგადოთ არცერთი მხრით არ იქნება ამ საქმეში დაბრკოლება; მხოლოთ თავად-აზნაურობამ კარგათ მოჰკიდოს ამ საქმეს ხელი და თავისგნით მიღებული პროექტის დამტკიცება სანდო კაცს მიანდოს, და, დარწმუნებული იყავით, რომ იმერლებს ბევრი-ბევრი ერთი წლის განმავლობაში თავის ბანკი ექნებათ.

არ შეგვიძლია დიდის სიამოვნებით არ შეენიშნოთ, რომ ქუთაისის ბანკს ძლიერ კარგი მომავალი მოელის, — რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ პატიოსანი და მცოდნე კაცები იქნებიან ამ ბანკის გამგებლებად.

თფილისის ბანკთან შედარებით, იმერეთისა და სამეგრელოს შეერთებული ბანკი ბევრათ უკეთესს მდგომარეობაში იქნება, ერთის მხრით იმიტომ რომ ამ ბანკს უფრო მომეტებული თავნი-ფული აქვს: თფილისის ბანკის ფონდათ ამჟამად მხოლოთ ოთხმოცდა-თერთმეტი ათასი მანეთია; ხელმწიფისაგან ნაბოძები თექვსმეტი ათასი თუმანი თფილისის ბანკს მხოლოთ მაშინ მიეცემა, როდესაც ეს ბანკი გაიხსნება. მაშასადამე ამ ბანკს თავიდამვე მხოლოთ ოცდა-ხუთი ათასი თუმანი ექნება ჯამი. ამას გარდა იმ თავად-აზნაურებმა, რომელთაც არაფერი არ შემოუტანიათ ბანკის თავნისათვის, ათი წლის განმავლობაში თავის ხვედრის მეოთხედი ოცი (%) მაგივრათ 5%) უნდა შემოიტანონ. ასე რომ თავნი ფული (ფონდი) თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის ბანკისა შესდგება ოცდა-თერთმეტ, ან ბევრი-ბევრი ოცდა-ხუთმეტ ათას თუმნამდი (310,000-315,000). იმერეთშიდასამეგრელოში ერთი თავად-აზნაურიც არ დარჩენილა, რომელმანც კი გლეხ-კაცების ფული მიიღო, რამ ამ ფულიდამ ბანკის თავნისათვის თავის ხვედრი არ დაეტოვებინოს და ამის გამო ქუთაისის ბანკის თავნი ეხლავე თითქმის ორი იმდენია, რამდენიც თფილისისა.

მეორეს მხრით ის ბედნიერი გარემოებაც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ თუმცა იმერეთისა და სამეგრელოს თავად-აზნაურობა საზოგადოთ ღარიბია, მაგრამ იმას, ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობასავით, მამულები დაგირავებული და გარდაგირავებული მაინც არა აქვს. აქედამ ცხადია, რომ, თუ ქართლ-კახეთის მემამულეებს იმედი, და სრულიად საფუძვლიანი იმედი, აქვსთ, რომ ბანკი იმათ ამ გაჭირვებულ მდგომარეობაში ხელს მოუმართავს, იმერეთ-სამეგრელოს მემამულეებს კიდევ უფრო მომეტებული იმედი უნდა ჰქონდესთ.

მაგრამ, როგორც ერთი მხარისთვის, ისე მეორესთვისაც აუცილებელად საჭიროა, რომ ბანკის შემწეობა მხოლოთ იმ საქმისთვის გამოიყენონ იმათ, რომლისთვისაც ის დანიშნულია, ე. ი. ჩვენი დაცემული მეურნეობის აყენებისათვის და დახშული გონების განათლებისათვის....

დღესვე გვინდოდა ჩვენ გვეთქვა ორიოდე სიტყვა იმაზე, თუ რა სარგებლობას მოუტანდა ჩვენ საზოგადოებას თფილისისა და ქუთაისის ბანკების ერთად შეერთება, მაგრამ ეს სტატია უიმისოთაც საკმაოდ გრძელი გამოვიდა და ამის გამო ამ ფრიად დიდი ყურადღების ღირსს საგანზე ჩვენ შემდეგში უფრო დაწვრილებით მოვილაპარაკებთ.

ს. მ.

კავკასიის მხრის შემოსავალი

1872 და 1873 წლებისა

ერთს რუსულ გაზეთში დაბეჭდილია ძლიერ საინტერესო ცნობები ჩვენი მხრის 1872 და 1873 წლების შემოსავალზე, რომელიც ჩვენ განუმარტებელად მოგვყავს:

1872 წელს, კავკასიის მხრის სამოქალაქო გამგეობის სმეტით (ანგარიშით), უნდა შემოსულიყო სულ 5,480,709 მანეთი. მომავალ 1873 წელს, ამავე ანგარიშით, კავკასიის მხრიდამ 6,067,058 მანეთი უნდა იქნეს შემოსავალი. ეს ანგარიში შემდეგ მოსაზრებაზეა დაფუძნებული:

გ ა დ ა ს ა ხ ა დ ი (ხარჯი) კავკასიის სოფლისა და ქალაქის მცხოვრებლებისა, აგრეთვე დაღესტნისა და სოხუმის სამხედრე მაზრებისა 1872 წელს გამოანგარიშებული იყო — 1,538,412 მანეთი; მომავალ 1873 წელს ესვე შემოსავალი შეადგენს 1,594,280 მანეთს, მაშასადამე შარშანდელზე 55,868 მანეთი მოემატება.

ს ა ს მ ე ლ ე ბ ი ს შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი, აქციზის სისტემის შემოღების შემდეგ, რომელიც მომავალი წლის ივლისის პირველიდამ დაიწყება, 897,000 შეადგენს.

მ ა რ ი ლ ი ს, ნ ა ვ თ ი ს დ ა შ ა ბ ი ს შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი: 1873 წელს იქნება 242,274 მან. მომავალ წელს აქციზის სისტემას მარილზე და ნავთზე შემოიღებენ.

თ ა მ ბ ა ქ ო ს შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი, (აგრეთვე აქციზით), 1873 წელს 330,000 მანეთს შეადგენს.

ტ ა მ ო ქ ნ ი ს შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი 1873 წ. 18,800 მანეთით მოემატება წლევანდელი წლისას, ე. ი. 1,529,000 მანეთს შეიდგენს. ეს მომატება წარმოსდგება იმ შემოსავლიდამ, რომელსაც კაკლისა და ბზის ხეების სამზღვარ გარეთ გატანა მისცემს ხაზინას.

გ ე რ ბ ი ს ქ ა ღ ა ლ დ ი ს დ ა ს ა ზ ო გ ა დ ო თ ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ე ბ ი ს შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი 1873 წელს 302,600 მან. იქნება.

შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი ჩ ი ნ ი ს მ ი ც ე მ ი ს ა თ ვ ი ს 1873 წელს, საშუალ რიცხვით, გამოანგარიშებულია 81,000 მან., პ ა დ ა რ ო ქ ნ ე ბ ი ს ა 17,500 მან., პ ა ს პ ო რ ტ ე ბ ი ს ა — 11,000 მან., სხვა და სხვა ჯ ა რ ი მ ე ბ ი 14,200, შ ო ს ს ე ს შემოსავალი — 70,000 მან.

მ თ ე ბ ი ს ა დ ა პ რ ო ბ ი ს შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი ისვე იქნება, რაც წელს იყო — 17,850 მან.

ფ ო ჩ ტ ი ს შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი წელს 231,850 მანეთი იყო გამოანგარიშებული, მომავალ წელს კი ხაზინა, საშუალი რიცხვით, 240,050 მანეთს მოელის.

ი მ მ ა მ უ ლ ე ბ ი ს შემოსავალი, რომელნიც ხაზინაში არიან ჩარიცხულნი, აგრეთვე თ ე ვ ზ ი ს ა დ ა სხვა ს ა ი ჯ ა რ ა დ რ ო საგნების შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი — მომავალ წელს გამოანგარიშებულია 540,800 მან., წლევანდელ შემოსავალზე 18,164 მანეთით ნაკლები.

ტ ყ ი ს შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი წელს იყო 72,800 მან. მომავალ წელს 96,000 უნდა იქნეს.

სხვა და სხვა შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი წელს 32,637 მანეთი იყო და მომავალ წელს ხაზინა 36,820 მანეთს მოელის.

შ ე მ წ ე ო ბ ა გ ა რ ე შ ე წ ყ ა რ ო ე ბ ი დ ა მ 1873 წლისათვის გამოანგარიშებულია 231,884 მან. ეს წყაროები არიან: სათემო შემოსავალი: 89,513 მან., ქალაქების შემოსავალი 107,817, მთავარ სამმართველოს სტამბის შემოსავლიდამ 10,762, კავკასიის მხრის სასწავლებლების სპეციალური საშუალებიდამ 23,792 მან.

ამ რიგათ 1873 წლის ყველა შემოსავალი რომ ვიანგარიშოთ და შეეფარდოთ იმ გასავალს, რომელიც ამ შემოსავალმა უნდა დააკმაყოფილოს, გამოვა, რომ 1873 წლის შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი 27 მ ა ნ ე თ ი თ გ ა დ ა ე მ ა ტ ე ბ ა გ ა ს ა ვ ა ლ ს ა.

გაზ. «ს. პეტერბურღის უწყებებში» დაბეჭდილია კახეთიდამ გაგზავნილი კორრესპონდენცია, რომელშიაც იწერებიან, რომ ამ უკანასკნელ წელიწადებში გვალვა, ტყეების აჭრის გამო, ძლიერ აწუხებს აქაურ მემამულეებსო; წელს ჩვენში ამ გვალვას სეტყვა და კალია ზედ დაერთოო ასე, რომ მცხოვრებლებს ცხოვრებისთვის აუცილებელად საჭირო საზრდო აღარა აქვთო. ჩვენს უფროსმა წელს არც პურიაო, არც ღვინო, არც თივა, არც ბალახი ასე, რომ კაცმა არ იცის ამ ზამთარს როგორ გავსძლებთო....

***

ჩვენ გვიგონია, რომ თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის კრებამ თავის უკანასკნელ სხდომაში (დეკემბრის 5-ს) ერთხმით გადასწყვიტა, უმაღლეს მთავრობას ვსთხოვოთო, რომ, რადგანაც იმ კანონის გამოისობით, რომლის ძალითაც აზნაურობის კრებაში ხმა, ანუ კენჭი მხოლოთ ჩინიანებს აქვთ, ჩვენ საზოგადო საქმეების განხილვის დროს ბევრი დაბრკოლება გვეძლევაო, ამის გამო გთხოვთ ეს კანონი მოისპოსო და აზნაურობის კრებაში მონაწილეობის მიღების უფლება ყველა თავად-აზნაურს მიენიჭოსო.

ჩვენის აზრით, ძალიან კარგი იქნება, რომ ამგვარი კეთილ-გონიერი თხოვნა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობამაც წარადგინოს უმაღლესს მთავრობასთან.

***

ჩვენი კორრესპონდენტი, უფ. ქ. ზარაფოვი, გვწერს გორიდამ, რომ ამ მოკლე ხანში გორის უეზდის სამღვდელოებისაგან ახალის წესით ბლაღოჩინების აღმორჩევა ყოფილა. მაგრამ, როგორც გავიგონეთო, იწერება კორრესპონდენტი, ეს ახალი წესი ბლაღოჩინების ამორჩევისა ამ შემთხვევაში სრულიად არ ყოფილა დაცულიო: თვითონ ბლაღოჩინებს, სხვა და სხვა საეკლეო საშუალობის შემწეობით, დიდი მონაწილეობა მიუღიათ თავიანთი თავის აღმორჩევაშიო....

***

ციურიხიდამ გვწერენ, რომ თითქმის ყველა ჩვენებური ახალგაზდა კაცები და ახალგაზდა ქალები, რომელნიც შარშან და წელს წავიდნენ შვეიცარიაში, ციურიხის უნივერსიტეტში შესულან წელს ოქტომბერში და ლექციებს სმენულობენო. მომეტებულს ნაწილს ქალებთაგანს ჯერ არ გადაუწყვეტიათ თურმე — რომელი მეცნიერების შესწავლას უნდა დაადგნენ; ჯერ-ჯეროობით ყველანი ბუნებითი საგნების ლექციებზე დაიარებიანო. მხოლოთ ერთი — ნაცვალოვის ქალი — ამთავითვე მედიცინის (ექიმობის) სწავლას შესდგომია.

იქიდამვე გვწერენ, რუსეთში და სხვა ქვეყნებში ხმა დავარდაო, რომ მომავალი წლიდამ ციურიხის უნივერსიტეტში უეგზამენიოთ არავის აღარ მიიღებენო და ამის გამო უცხო ქვეყნებიდამ, განსაკუთრებით რუსეთიდამ, ჯგუფ-ჯგუფად მოდიან ქალები და ესწრაფვიან მალე შესვლას, სანამ ეგზამენებს დანიშნავენო. მართალია, ამბობს კორრესპონდენტი, აქაური სტუდენტები — მომავალ წელს კიდევ აპირებენ ამ კითხვის აღძრას, მაგრამ საეჭვოა, რომ იმათ ეს უვუნური და ყოვლად უაზრო განზრახვა შეასრულონო. ამ ჟამად კი ყველა უცხო ქვეყნელს იღებენ თურმე ციურიხის უნივერსიტეტში, ვისაც კი თავის სამშობლო ქვეყნის პოლიციიდამ მოწმობა აქას, რომ კარგი ყოფაქცევის არის; უ-ამ-მოწმობით კი არავის არ იღებენო.

***

ფოთი — თფილისის რკინის გზის გამგეობამ ერთხელ კიდევ გამოცვალა თფილისიდამ სურამამდი და სურამიდამ თფილისამდი რკინის გზის წასვლა-წამოსვლის დრო, როგორც პასაჟირებისათვის, აგრეთვე საქონლის ვაგონებისათვის: დეკემბრის ხუთიდამ დაწყებული თფილისიდამ დილის ცხრა საათზე და ოცდა ხუთ მინუტზე (9 ს. და 25 მ.) მიდის

მაშინა და სურამს მივა საღამოს ხუთ საათზე და ორმოცდა სამ მინუტზე (5 ს. 53 მ.). სურამიდამ დილის რვა (8)საათზე მოდის და თფილისში საღამოს ოთხ საათზე და ორმოცდა შვიდ მინუტზე (4 ს. 47 მ.) ჩამოდის. ესევე მაშინა თფილისიდამ დილის რვა საათზე წასული გორში დილისვე თერთმეტ საათზე იქნება, და სურამიდამ დაბრუნებული ნასადილევის ორ სათზე და ორმოცდა სამ მინუტზე.

ამას გარდა, რკინის გზა აგრეთვე თავის ძველებური წესითაც დაიარება.

«დროების» კორრესპონდენცია

წიგნი რედაქტორთან

რა თქმა უნდა, რომ კაცს ყოველი მისთვის საკეთილო ამბავი ძრიელ ეხიამოვნება; მაგრამ ის ამბავი მით უფრო სასიამოვნოა, რამდენათაც მას არ ელოდებოდა, და თუ ამასთანავე გარე შემორტყმული გარემოებანი უფრო უსიამოვნო რამეს მოასწავებდნენ, სინემ სასიამოვნოს. სწორეთ ესეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზედ იმ ამბავმა, რომელიც დღეს გავიგეთ და ვშურობთ მალე გაუზიაროთ ყველას, ვინც კი ჩვენს ღარიბის კაცის მდგმოიარებაში თუნდ პატარას მონაწილეობას მაინც იღებს როცა მე ამ სიტყვებსა ვსწერ, არის ამ დეკემბრის ექვსი და ჩვენი ქალაქი დღესასწაულობს ათის წლის მთავარ-მმართებლობას მათის იმპერატორის უმაღლესობისას. ამ შემთხვევის გამო, ქალაქის წინამძღოლის (голова) თ. თუმანოვის ამქართწარმომადგენელთთურთ მიურთმევია თხოვნა მთავარ-მართებელისათვის, რომ მან მისცეს მათ შემწეობა საგლეხო შკოლის გახსნისა, სადაც გლეხის შვილებს შეეძლოსთ წერა-კითხვის და სხვა და სხვა ხელოვნების სწავლა. ამ შემთხვევისათვის ჩვენ ფული საკმაოთა გვაქვს შეკრებილიო და დანარჩენსაც, რაც მოუნდება, უთუოთ შევკრეფამთო. ეს თხოვნა მთავარ-მმართებელს მიუღია ძრიელ დიდის სიამოვნებით და დაჰპირებია, რომ უთუოთ აღასრულებს მათს თხოვნას და სწორე პასუხს მიიღებენ ამ ცოტას ხანშივე.

აზრი ამ საქმისა, როგორც ჩვენ გვითხრეს, პირველად ეკუთვნის თ. თუმანოვს, რომელსაც ჩაუგონებია მოქალაქეებისათვის ამისთანა საქმის სიკეთილე და ძრიელი საჭიროება. ალაგი ამ სასწავლებლისათვის უთხოვნიათ საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის გვერდით, სადაც ეხლა არა შენობა არა არის რა და მარტოკა კაკლას კუნძები ყრია.

რაღა თქმა უნდა, რომ ეს ამბავი ძრიელ სასიამოვნო რამ არის, უმეტესად სასიამოვნოა ის, რომ ამ სასწავლებლის გამართვის მოთავეებს თვითონვე გაუგიათ ნამდვილი მიზანი ამისთანა საწავლებლისა. აი, რას ამბობდა ჩვენი მოამბე:

— მიჰყავსთ ხოლმე მშობლებს თავიანთი შვილები რომლისამე ხელობის სასწავლებლად; ვის დალაქთან, ვის ხარაზთან, ვის სტოლიართან, ვის მჭედელთანაო. მაგრამ თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, ზოგს ერთის ნიჭი აქვს, ზოგს მეორესი; ზოგს ათი წელიწადი რო დალაქობა ასწავლო, ვერ ისწავლის და ხარაზობაში კი ერთს წელიწადს გაიმართება. აგრეთვე სხვა ხელობაები. ამისთვის ძალიან კარგი იქნება, რომ ყმაწვილს ასწავლიდნენ იმ ხელობას, რომლის ნიჭიცა ბუნებითვე აქვს: ჩვენი შკოლა ასეთი იქმნებაო. ამასთანავე იქ წერა-კითხვაც და ანგარიშიც უნდა ვასწავლოთო და ცოტ-ცოტა რუსულიცაო.

ჩვენი აზრით, ეს სასწავლებელი ძვირფასი რამ იქნება ქალაქისთვის. რასაკვირველია, სწავლა აქ იქმნება ქართულს ენაზედ და ეს თავისმხრით გამოითხოვს საჭირო სახელმძღვანელო წიგნებს ქართულს ენაზე, რომლებსაც არ ყოფნა ეხლა ძრიელ საგრძნობელია. ერთის სიტყვით, ეს ისეთი სასიამოვნო ამბავი არის, რომ მრავალი სარგებლობა მისგან ყველასთვის აშკარა არის, და ჩვენ მეტი არა გვრჩება, რომ თ. ი. თუმანოვს და მის თანაშემწეებს გადუხადოთ ჭეშმარიტი და წრფელი მადლობა და ვსთხოვოთ, რომ როგორც შეიძლება მალე მოიყვანონ აღსრულებაში თავის ყველასთვის სასიამოვნო აზრი.

ა. ხელაშვილი.

თფილისი, დეკემბრის 6.

ყვირილიდამ თფილისამდე.

ვფიქრობ, რომ ჩვენი მკითხველისთვის უსარგებლოდ არ დარჩება ჩემი მოგზაურობის აღწერა, რადგან, იმედი მაქვს, ამ აღწერის შემდეგ, ის უფრო გაფრთხილდება რკინის გზაზედ მოგზაურობის დროს.

მე წამოველი ყვირილის სტანციიდამ ქალაქს, რკინის გზით, წასრულის თვის 24-ს პირველ საათზედ. ორი საათის განმავლობაში ბექათუბნის სტანციაში მოვედით; მაგრამ ვაი იმ მოსვლას! ორ-სამ ადგილას ბექათუბნამდისინ არც კი მეგონა, თუ უსიკვდილოდ გადავრჩებოდით. ბექათუბნიდამ ხაშურის სტანციაზედ ცხენებით (ტროიკით) მოვედით. ხაშურიდამ მაშინა საკმაოდ ჩქარა წამოვიდა ასე, რომ საათ-ნახევარს გორში ჩამოვედით.

აქ დიდძალი ხალხი ჩასხდენ ვაგონებში თფილისისკენ წამსვლელები; თითქმის ნახევარი ამათგანი მთვრალები იყვნენ. ერთი ამ მთვრალთაგანი ჩვენს ვაგონში შემოვიდა და დასხდა. ეს კაცი ვაჭარი უნდა ყოფილიყო. ყველაზე ნამეტნავად ჩემი ყურადღება ამ კაცმა მიიქცია. ამან ჯერ თვითონ მოჰყვა ბაიათების მღერას მაღალი ხმით; ბოლოს იმერლები დაინახა ვაგონში და იმათაც დაუწყო თხოვნა, რომ ემღერნათ. იმათაც, რასაკვირველია, შემოსძახეს «ორი-რაშა»; მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ, ობერ-კონდუქტორი შემოვიდა ვაგონში და როგორც იყო დაამშვიდა მცირალი ხალხი. მაგრამ, გავიდა თუ არა ობერ კონდუქტორი ჩვენი ვაგონიდამ, გამოიღვა თავს ამ კაცმა და დაიწყო ლაპარაკი: «სახლი დამიქირავებია, შვილო, და სიმღერასაც მიშლი? ახა, ვაგლახ ჩემს თავს! ვაი დედასა, ჰაზრში ვერ მოვედი, თორემ ამ აკოშკიდამ გადავაგდებდი მაგ ოხერ—კუნდუქტორია, თუ რაღაცა! სულ არ წავგლახეს ამ.....! დაწყევლოს ღმერთმა, ალა-მაჰმად ხანი არ გვიშლიდა სიმღერას!... არაკათ თქმულია «ღორის.....ფეხზედ რომ დაისომ, თავში ავაო!» მოუბრუნდა გული და ისევე ბაიათები დაიწყო. ეუბნება იმერლებს: «იმღერეთ, შვილო, მაინცა, თორემ ისეთ დროში ვართ, რომ ჭლერქში ჩავარდებით. ვაიმე, ჩემო ქართულო ურემო, სადა ხარ? ჩვენთვის ისევ ის სჯობდა! ეს ეშმაკის მანქანაა, თუ რაღაცა, ეს ამოგვაგდებს ჩვენ!» ბევრი რამ ამისთანაები ილაპარაკა ამ კაცმა, მაგრამ ყველა მისი სიტყვების აქ მოყვანა არ შეიძლება...

თერთმეტ საათზე ქალაქში მოვედით. ჩემი საქმეების მორჩომის შემდეგ, მეხუთე დღეზე ისევ უკან დავბრუნდი.

ოცდა-ათ ნოემბერს, ცხრა საათზე, რკინის გზის სტანციაში ვიყავი. თფილისიდამ ყვირილის სტანციამდის ორი ბილეთი მომყიდეს, ერთ ბილეთში მთელი გზის ფული თფილისში გამომართვეს, სურამის ქედი არ გამოურიცხავსთ. მეორე ბილეთი მომყიდეს სურამიდამ ბექათუბნამდისინ სამ აბაზ უზალთუნად და დამაიმედეს, რომ ეკიპაჟით წამოვიდოდი სურამიდამ ბექათუბნამდი. პირველ საათზედ ნაშუალამევს მოვედით სურამში. თურმე მათი ეკიპაჟი თათრული ფურგუნი ყოფილა, სადაც ხალხი ბარდნებივით არიან შეწყობილი ერთი-ერთმანეთზე. მე მოვითხოვე ტარანტასი და ფულსაც უმატებდი, იმ ბილეთში გაღებულს ფულს გარდა. მაგრამ ბილეთის მყიდველმა გამომიცხადა, რომ ის ბილეთი ისევე ქალაქს ჩამეტანა და ბოლოს მოვბრუნებულიყავი ქალაქიდამ და ახალი ბილეთები მეყიდნა. რაღა გაეწყობოდა, ვიყიდე ხელ-ახლა ტარანტასის ბილეთი. მოიტანეს ტარანტასი, რომელსაც დასაჯდომი არა ქონდა. დასაჯდომის მაგივრად შაქრის დალურსმული ყუთები დაეგდოთ. უწინდელ დროში რომ წმინდანებს აწვალებდნენ, სწორეთ ისე მოგვექცენ. ყველა მოტყუებას თავი დავანებოთ, მაგრამ რათ გადაგვახდევინეს ფული სურამიდამ ბექათუბნამდის რკინის გზისათვის, როდესაც ჩვენ ამ ალაგზე რკინის გზით არ წამოუყვანივართ? რამოდენ საწყალ კაცს მჰყიდეს ასე ბილეთი?

პირველი საათიდამ წამოსული სურამიდან, გათენებამდისინ ძლივს მოვედით ბექათუბანში. სხვა პასაჟირებს ფურგუნი წაუხდათ გზაში და იმათი გულისათვის შუადღემდისინ გვაცდევინეს სტანციაში, სადაც დასაჯდომი ადგილიც არ იშოვებოდა.

ეს გახლავსთ ჩვენი ახალი რკინის გზის კომფორტი!...

შორაპნელი.

სოფ. ოფურჩხეთი, ნოემბრის 30-ს.

ოფურჩხეთი სძევს ქუთაისიდამ 10 ვერსზე, რიონის მარჯვენა ნაპირზე, იმ ახალ შოსსეს გზაზე, რომელიც ქუთაისიდამ რაჭას მიდის. აქ ას-ორმოცდა-ათი (150) მცხოვრებელი იქნება; მომეტებული ნაწილი, რასაკვირველია, გლეხები არიან.

როგორც საზოგადოთ იმერეთის ყველა სოფლები, ეს ჩვენი სოფელიც მეტად ღარიბია და უმეცარი. იქნება ამ მიზეზის გამო და იქნება სხვა მიზეზებითაც, აქაურ მცხოვრებლებში პირი და თანხმობა არ არის: განსაკუთრებით აზნაურები თითქო ჯიბრს უწევენ გლეხებსაო. თუ რომელიმე გლეხის პირუტყვი ჩავიდა აზნაურის ყანაში, დარწმუნებული იყავით, რომ იმას იქიდამ იშვიათად გამოუშვებენ ცოცხალს: თუ წვრილი ოთხფეხი რამეა, უთუოთ მოკლავენ და შესჭამენ და თუ სხვილი რქიანი პირუტყვია, თოფით ან სატევრით გამოედევნებიან და მოუკლავს არც იმას გადაარჩენენ. აი, სურათი ჩვენი სოფლელების მშვიდი ცხოვრებისა!...

სხვა სიკეთესთან ჩვენს სოფლებში ცოტ-ცოტათი ერთი ისეთი თვისებაც ჩნდება, რომელიც რუსეთის ხალხს ღუპავს: მე ვამბობ არაყის სმაზე; ისე სოფლელს ვერა ნახავთ ეხლა რომ არაყს რ ეწუობოდეს. საქმე იქამდი მივიდა, რომ ამას წინათ მომეტებულმა არაყის დალევამ ერთი სოფლელი დედა-კაცი მოკლა. ეს საძაგელი თვისება უღვინობამ გაავრცელა ჩვენში და თუ მალე არ დაგვიხსნა ბუნებამ, ცუდათ არის ჩვენი საქმე...

ამ სოფელში ზედ შოსსეს გზაზე, გაჩაღებულია დუქნები და სამიკიტნოები, რომლიდამაც მომეტებული ნაწილი აქაურ აზნაურებს ეკუთვნის. სჩანს, რომ ამ სამიკიტნოების პატრონებს კარგი შემოსავალი აქვთ, თორემ სხვა აზნაურებიც არ დაიწყებდნენ ცდას, რომ იმათაც გამართონ დუქნები..

ამ სამიკიტნოების გვერდით ერთი პატარა ქოხი დგას, რომელსაც სოფლელები შკოლას ეძახიან. მაგრამ აქ თავის დღეში კაცსაც არ უფიქრნია შკოლის გამართვა!... უკაცრავად, შკოლის გამართვა კი უფიქრნიათ, როგორც სჩანს, სახლიც აუშენებიათ შკოლისთვის, მაგრამ იმით დაკმაყოფილებულან: არც მებელით მოუწყვიათ, არც მასწავლებლის დაქირავება, არც შაგირდების შოვნა სოფელს არ უფიქრნია!

მე მრცხვენია, უფ. რედაქტორო, რომ ამისთანა ამბებს გწერთ ამ ჩემ მეზობელ სოფელზე, მაგრამ ვიცი, მართლის თქმა იშვიათად არის მავნებელი. განა ისეთს სოფელს, რომელშიაც 150 მცხოვრები ცხოვრებს, ერთი პატარა შკოლის გამართვა არ შეუძლია? როგორ არ შეუძლია, მაგრამ სად არიან არათუ ჩვენს სოფლებში, არამედ ქალაქებში, ხეირიანი მოთავე და საზოგადო საქმისათვის მზრუნველი კაცები! ყველა თავის საკუთარი სარგებლობისათვის ცდილობს, ყველა წუწნის და შეუშფოთებელ ცხოვრებას ეძებს!..,

ი. დოდონაძე.

რუსეთი

რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია უმაღლესი მანიფესტი, რომლის ძალითაც მომავალ წელს რუსეთში და პოლშაში სალდათები უნდა მოკრიბონ. ათას კაცში ექვსი უნდა გამოიყვანონ. ამბობენ, რომ შემდეგში ახალი წესით დაიწყებენ ჯარის მოკრებასაო, იმ წესით, რომლის ძალითაც ყოველი წოდების მოქალაქე ვალდებული იქნება ექვსი წელი იმსახუროს სამხედრო სამსახურში, თუ წლოვანება ნებას აძლევს და განათლებული არ არის.

* * *

კოსტრომის მცხოვრებლებს სახალხო განათლების სამინისტროში თხოვნა გაუგზავნიათ, რომ, რადგანაც ჩვენს ქალაქში ბევრი ფაბრიკები და ქარხნებიაო და რადვანაც იმათთვის მცოდნე კაცები (ტეხნიკები და მოხელეები) საჭირონი არიანო, ამის გამო ნება მოგვეცით, რომ რეალური სასწავლებელი გავხსნათო; რაც ამ სასწავლებლისათვის ფულები საჭირო იქნება, ჩვენ ვიკისრებთო. ამ ქალაქის მცხოვრებლებს ამ თხოვნასთან გამოუცხადებიათ აგრეთვე, რომ ამ სასწავლებლისათვის შესაფერ სახლს ჩვენის ხარჯით ავაშენებთო.

ყურადღების ღირსია, რომ ამ უკანასკნელ წელიწადებში სახალხო განათლების სამინისტროს თითქმის ყოველი მხრიდამ მოსდის ამგვარი წინადადებები; ყველგან ხალხი რეალურ განათლების სურვილს აცხადებს, რადგან ახლანდელს საშუალს სასწავლებლებში ვერ პოულობენ ამ სურვილის დაკმაყოფილების საშუალებას.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

უკანასკნელი სხდომები ვერსალის ნაციონალური კრებისა ძლიერ შესანიშნავი და ყურადღების ღირსნი არიან. ორჯერ-სამჯერ საქმე იქამდი მივიდა, რომ ზოგიერთები დარწმუნებით ამბობდნენ, რომ ტიერი იძულებული იქნება პრეზიდენტობას თავი დაანებოსო, და ამის შემდეგ შეიძლება საფრანგეთში ხელ-მეორეთ რევოლიუცია მოხდესო. მაგრამ ბოლოს კი საქმე მშვიდობიანათ გათავდა. ნოემბრის 29-ს ნაციონალურ კრებაში სხვათა შორის იუსტიციის მინისტრის, დიუფორის, წინადადებაზე იყო გაცხარებული ლაპარაკი. ეს წინადადება მდგომარეობდა იმაში, რომ ნაციონალურ კრებას დაენიშნა 30 კაცისაგან კომისია, რომელმაც ახალი კონსტიტუციის კანონების შემოღებაზე უნდა მოილაპარაკოსო. მარჯვენა მხარე არ ეთანხმებოდა ამ მმართებლობის წინადადებას; ბატბის სიტყვით, იმან ამ სხდო-

მის წინეთ პირდაპირ გამოთქვა, რომ არავითარი ახალი კანონების შემოღება, გარდა მინისტრების პასუხის-გებისა, საჭირო არ არისო. ძლიერ შესანიშნავია ის სიტყვა, რომელიც ამ სხდომაზე წარმოსთქვა ტიერმა. მოვიყვანთ ამ სიტყვიდამ რამდენსამე უფრო ყურადღების ღირს ადგილებსა. პირველად ტიერმა ილაპარაკა თავის თავზე და სთქა, რომ რაც შემეძლო ვსცდილობდი საფრანგეთის დამშვიდებასაო და ახლა, როგორც ხედავთ, ჩვენ კარგს გზაზედა ვდგევართო. შემდეგ ის გადავიდა პირდაპირ მარჯვენა მხარის მოთხოვნილებაებზე და სთქვა, რომ მე ვიცი თქვენ საფრანგეთში მონარხიის დაფუძნება გინდათო. «თუ შეგიძლიათ თქვენ ამ განზრახვის აღსრულება, თუ გყავთ მზათ ხელმწიფე და თუ ყველა მოთავდეებით ერთმანეთში,—მე ახლავ თავს ვანებებ პრეზიდენტობასო! მოიყვანეთ და დასვით საფრანგეთის ტახტზე თქვენი ხელმწიფეო. მე თვითონ მონარხიელი ვარ, რესპუბლიკური პარტიის მომხრე მე არასოდეს არ ვყოფილვარ; მაგრამ ეხლა კი მე დავრწმუნდი, რომ საფრანგეთში მხოლოთ რესპუბლიკური მმართებლობა გამოდგება, ხალხს იმის მხარე უჭირავსო და ამის გამო ეხლა მეც რესპუბლიკის დამკვიდრება მსურსო, მართალია, ამბობენ, რომ საფრანგეთის ხალხს რესპუბლიკის მხარე არ უჭირავსო; მაგრამ გთხოვთ, გაიხსენოთ უკანასკნელი ამორჩევები.—როგორი აზრების დეპუტატებს ირჩევს ეხლა ხალხი? მხოლოთ ისეთს დეპუტატებს ირჩევს თავის წარმომადგენელათ, რომელთაც თავის რესპუბლიკური აზრები პირდაპირ გამოაცხადეს. ჩემდა უნებურათ, უნდა დავემორჩილო მე ხალხის მოთხოვნილებას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება მალე დავაფუძნოთ რესპუბლიკა. მე ვიციო, მიმართა ბოლოს ტიერმა მარჯვენა მხარეს, რომ მე თქვენ არ მოგწონვართ. თქვენ მონა გნებავთ, თქვენ გინდათ ისეთი კაცი, რომელიც ხმის ამოუღებლად აასრულებს თქვენ ბრძანებას! ამ დროს ის შანგარნიესაკენ იცქირებოდა.

თუმცა ტიერმა პირდაპირ გამოსთქვა, რომ ის რესპუბლიკელი არ არის, რომ იმას რესპუბლიკური მმართებლობა სრულიად არ მოსწონს, მაგრამ ამასთანავე ისიც სთქვა, რომ ის მაინც რესპუბლიკის დაფუძნებას სცდილობს, რადგან საფრანგეთში ეხლა მხოლოთ ამ მმართებლობის დაწესება შეიძლებაო,—და ამის გამო მარცხენა მხარის დეპუტატები ტიერის სიტყვამ აღტაცებაში მოიყვანა. მონარხიელებს უნდოდათ, რომ ტიერსა და მარცხენა მხარის დეპუტატებს შუა განხეთქილება ჩამოეგდოთ და იმედი ჰქონდათ ამ სიტყვების შემდეგ რესპუბლიკელები იმის მხარეს აღარ დაიჭერდნენ. მაგრამ წარმოიდგინეთ იმათი გაკვირვება და ბრაზი, როდესაც გამბეტას მომხრეებმაც კი ტაში დაჰკრეს ტიერს, როდესაც იმან თავის სიტყვა გაათავა...

ბევრი ბაასისა და ხმაურობის შემდეგ, კრებამ მიიღო დიუფორის წინადადება და 30 დეპუტატი აირჩიეს. ამ დეპუტატებში, ამბობენ, 18 მარჯვენა მხრის არიანო და 12 რესპუბლიკელიო.

ამ ორნაირმა გამარჯვებამ ისეთ ნაირათ გააბრაზა თურმე მარჯვენა მხარე, რომ ეხლა ყოველ საშუალებას ხმარობენ, რომ რაიმე შემთხვევა ნახონ და ტიერს სამსახურიდამ თავი დაანებებინონ. მაგრამ, თუ მარცხენა მხარემ ისეთისავე ენერგიითა და გონიერებით იმოქმედა, როგორც დღემდი და თუ არც ტიერმა უღალატა რესპუბლიკას, მაშინ, იმედია, რომ ისინი თავის განზრახვას ვერასოდეს ვერ შეასრულებენ და ტიერი ამ მარცხენა მხრის შემწეობით, ადრე იქნება თუ გვიან, უთუოთ რესპუბლიკას დაამკვიდრებს საფრანგეთში.

— ნოემბრის 30-ს ნაციონალური კრების სხდომაში გაცხარებული ბაასი აღუძრავს ერთი დეპუტატის წინადადებას, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ შინაგანი საქმეების მინისტრს, ვიქტორ ლეფრანს საყვედური უთხრათ იმ ადრესებისათვის, რომელიც ტიერს დეპარტამენტებიდამ მუნიციპალური რჩევებისაგან მოვიდა. მინისტრს ამ ადრესების გამოგზავნის ნება არ უნდა მიეცაო. ამ განკიცხვის გამოცხადების გამოისობით, მინისტრ ვიქტორ ლეფრანკს, ტიერისთვის თხოვნა მიუცია, რომ სამსახურიდამ დამითხოვეთო. ტიერი დათანხმებულა და შინაგანი საქმეების მინისტრათ დროებით გარეშე საქმეების მინისტრი რამუზა დაუნიშნავთ. ამბობენ, რომ ამ ამბავმა ძალიან ააღელვა საფრანგეთის საზოგადოებაო.

ესპანია

ზოგიერთს ესპანიის მაზრებში, განსაკუთრებით მურსიაში და არაგონიაში, როგორც გაზეთებში იწერებიან, რესპუბლიკელების მოძრაობა არისო. თვით მადრიდშიაც გაუვრცელებიათ ამათ პროკლამაცია, რომელშიაც ამბობენ, რომ შევერთდეთ ყველანი და ესპანიაში სოციალური და დემოკრატიული რესპუბლიკა დავამკვიდროთო. თუმცა ოფიციალურ გაზეთებში კი იწერებიან, რომ ეს მოძრაობა ახლანდელი მმართებლობისთვის საშიშო არ არისო, მაგრამ ერთი ფრანცუზული გაზეთი იწერება, რომ თუ მმართებლობა ეხლავე ენერგიულათ არ მოიქცა ამ საქმეში, მერე კარლისტებზე უფრო გასაჭირი იქნება ამათი დამშვიდებაო.

ამერიკა

ნიუ-იორკში მომკვდარა ჰორას გრილი, რომელიც ამას წინათ გრანტს ეცილებოდა პრეზიდენტობაში. ამბობენ, რომ ამ უკანასკნელ დროს ბევრმა ჯაფამ და ცოლის სიკვდილის დარდმა დაულია იმას დღეო.

სამართალი

უფ. დ. ი. ყიფიანისა და თ. ნ. მინგრელსკის საქმე.

სენატის კასაციურ დეპარტამენტში განუხილავთ ამ მოკლე ხანში უფ. დ. ი. ყიფიანის და თ. მინგრელსკის საქმე. აი, რაში მდგომარეობს ეს საქმე: უფ. დ. ყიფიანმა თფილისის ოლქის სასამართლოში შემდეგი საჩივარი შეიტანა თ. მინგრელსკიზე: სამეგრელოს მთავრის, თ. დავით დადიანის სიკვდილის შემდეგ, კავკაზიის ნამესტნიკის წარდგენილობით, სანამ იმის მემკვიდრე თ. ნიკოლოზ მინგრელსკი სრული წლოვანი არ შეიქნებოდა, სამკვიდრო მამულის მზრუნველობა კნ. ეკატერინე დადიანისას ჩაბარდა, რომლის თანაშემწეთაც აპეკუნათ დანიშნული იყო უფ. დ. ყიფიანი. თავის შრომისათვის უფ. ყიფიანი, როგორც აპეკუნი, ეძიებდა თ. მინგრელსკისაგან: 1) ხუთ სარგებელს იმ ათას-ორასი თუმნისას, რომელიც სამეგრელოს ტამოჟნის შემოსავლის მაგივრათ ეძლეოდა თ. მინგრელსკის ყოველ წელიწადს 2) ხუთ სარგებელს იმ ათასი თუმნისას, რომელიც ხელმწიფე იმპერატორმა უბოძა თ. მინგრელსკის 1853—1856 წლის ომიანობის ზიანისათვის და 3) 4,146 მანეთს რომელიც უფ. ყიფიანს თ. მინგრელსკის უძრავი მამულის შემოსავლიდამ ერგებოდა. თფილისის სამოსამართლო პალატამ, რომელშიაც ას საქმე ორივე მხარემ გადაიტანა, უარი უყო უფ. ყიფიანს იმ საბუთით, რომ თ. მინგრელსკის აპეკუნების დროს თავის მამულიდამ 260,159 მანეთი ჰქონდა წმინდა შემოსავალიო და ამ ფულებიდამ აპეკუნებმა 13,000 მანეთის მაგივრათ 52,000მ. მიიღესო; მაშა სადამე 4,146 მანეთზე დავა უსაფუძლო დავა არისო და უდროოცაო, რადგანაც კნ. ეკატერინა დადიანისას ჯერ არ განუხილავს უფ. ყიფიანისაგან წარდგენილი ანგარიშიო. რაიცა შეეხება 12 და 10 ათასი მანეთის ხუთ სარგებელსაო, ამაზე თფილისის სამოსამართლო პალატამ გადასწყვიტა, რომ, რადგანაც ეს ფულები არ შეადგენდა მინგრელსკის მამულების ყოველ წლიურ შემოსავალს, ამის გამო ამ დავაზედაც უფ. ყიფიანს უარი უნდა ეთქვასო.

ამ პალატის გადაწყვეტილებაზე უფ. ყიფიანმა შეიტანა სენატში საჩივარი. იმის ადვოკატი, უფ. ნაფიცი ვექილი ტურჩანინოვი ამტკიცებდა, რომ ეს გადაწყვეტილება თფილისის სამოსამართლო პალატისა სწორი გადაწყვეტილება არ არისო და სთხოვდა სენატს იმის დარღვევას. უმართებელესმა სენატმა შემდეგი რეზოლიუცია დადვა: «თფილისის სამოსამართლო პალატის გადაწყვეტილება, 10 და 12 მანეთის თაობაზე, 284 მუხლის 1 ნაწილის მე-X ტომის ძალით მოისპოსო და ეს საქმე იმავე პალატის მეორე დეპარტამენტს გადაეცეს განსახილავადო.

უფ. შორაპნელის შენიშვნაზე

(«დროება» № 44)

მე ჩემს სტატიაში «ძველ-ახალი ამბავი» ვამაგე საზოგადოდ მღვდლები, რომ ცუდათ იქცევიან, მეთქი. მე ხასეში მყავნდნენ ქართლის და ოსების მღვდლები და, რადგანაც სხვა საქართველოს ადგილებში, მაგ. კახეთში, ქიზიყში, ზაქათალის მაზრაში, მთიულეთში ნამდვილად პატიოსანი პირებისაგან ვიცოდი, რომ აგრეთვე ცუდით იქცევიან, ამიტომ მე საზოგადოდ მოვიხსენიე ისინი. მხოლოდ იმერეთის სამღვდელოებაზე არა გამეგონარა ნამდვილი, თუმცა ზოგიერთი კერძო ცნობებიდგან შეიძლება გამოვიყვანოთ, რომ არც აქ არიან როგორც უნდა, იმისთანა მღვდლები.

ეს საზოგადო აზრი ერთი კერძო ფაქტისაგან არ შევადგინე, როგორც უფ. შორაპნელი მწამებს. მე არ ვამბობ, რომ ერთ მღვდელს—იორომთეს, რომელიც საშინლად სვამს ღვინოს, ჯამი განუშორებლივ უჭირავს ხელში, მეთქი. დიდი უსვინიდისობა იქნებოდა, რომ ასე მოვქცეულიყავი. ზემოთ ვსთქვი და კიდევ გავიმეორებ: მე შევნიშნე ქართლში, ოსებში, რომ ძალიან მცირად განირჩევა იქაური ქრისტეს სწავლის აღმსრულებელი მღვდელი ცოტათიც არის მაინც ხალხისაგან, მეთქი. სხვა ადგილების მღვდლებზე ცნობები მომცეს იმისთანა პირებმა, რომლების სიპატიოსნეში მე ეჭვს ვერ შევიტან. რაც შეეხება იმერეთის მღვდლებს, ამაზე მე არ შემხვედრია იმათთანა პირებთან ლაპარაკი, რომელთაც დაახლოვებით სცოდნოდათ იმათი ცხოვრება. რომ მღვდლები არც აქ იქცევიან რიგიანად,—თუმცა ჰყავთ შესანიშნავი მღვდელთმთავარი, ამას იქიდგან გამოვიყვან, რომ იმერეთის ხალხი ძალიან ცრუ-მორწმუნეა. არა-ერთი გზის ყოფილან გაზეთ «დროებაში» კორრესპონდენციები, რომლებიდგანაც ვტყობულობთ, რომ იმერეთის ხალხი მეტათ ცრუ-მორწმუნეა: სწამს რაღაც შინკები, მკითხავები, ცრუ ექიმობა შელოცვებისა და მათგან ათასნაირი გამოგონილი ლოცვები: თვალ-ნაკრავისა, ნაწყენობისა და სხვა. აი კიდევ ერთი შესანიშნავი ფაქტი; ერთი სარწმუნო პირისაგან გავიგონე, რომ ზესტაფონში რაღაც საქმისთვის ვიყავიო; «შევედი ერთ დუქანში, რომელიც იმერლებით იყო ავსებული. მინდოდა გამეგო, როგორი აზრი აქვთ შედგენილი რკინის გზაზედა: დაუწყე კითხვა იმათ. მიპასუხეს: «შიგ, ბატონო, შინკა ჰყავთ დაბმული; როცა აუშვებენ იმ წყეულს, იმისთანას გაქანდება, რომ რავა სთქვას კაცმაო; როცა გაჩერება მოუნდებათ, შებოჭვენ ინკას და გაჩერდებაო.» ამ ზემოთ-მოყვანილი ფაქტებიდგან გამომყავს, რომ იმერლები არ არიან თავისუფალნი ცრუ-მორწმუნოებისაგან. ამათში ცოტად თუ ბევრად განათლებულნი არიან მღვდლები; მაშასადამე იმათ შეუძლიანთ, თუ კარგათ მოიქცევიან—და ვალიც აქვთ, რომ ცრუ-მორწმუნებები აღმოფხვრან ხალხში. მაგრამ საიდგან სჩანს? მაშასადამე ის ჩემი აზრი, რომ საზოგადოთ ჩვენი მღვდლები თავის ვალდებულებას ცუდათ ასრულებენ, გამოჰყავს არა ერთად-ერთი კერძო ფაქტიდგან, არამედ რამოდენიმე კერძო ფაქტებიდგან.

უფ. შორაპნელი უსაფუძვლოთ სთვლის, რომ მღვდლებს შეუძლიანთ თუ ენერგიულად მოეჭიდებიან საქმეს, გაამართვინეან ხალხს შკოლები რომელშიაც შეუძლიანთ, თუ მუქთად არა, ცოტა ფასათ მაინც ასწავლონ გლეხების შვილებს. ერთი მითხარით, ვინ დაუშლის მღვდელს პატარა ოთახი ააშენებინოს და იქ შინაურულად ბავშების სწავლას მოანდომოს ის დრო, რომელსაც ფუჭად ჰკარგავს? რამდენ სოფლებშია აშენებული საკანცელიაროდ ოთახები, რომლებიც უქმად ჰყრიან! დავიჯეროთ რომ სოფლის მღვდელს ვინმემ უმაწვილების შეყრა და წერა-კითხვის სწავლა დაუშალოს? მე მგონია, რომ ამ პატიოსანი საქმისთვის დიდს მადლობას და სახელს დაიმსახურებდნენ ისინი თავის მამამულეებისაგან.

რა საშუალებით გამართონო, მკითხავს უფ. შორაპნელი? ენერგიული კაცი ყოველ ნაირ საშუალებას მონახავს, თუ მოინდომებს. მღვდელს ყოველთვის შეუძლია, ნათლად დაანახვოს სწავლის სარგებლობა ხალხს, რომელიც მაშინ, უეჭველია, უკანასკნელ გროშს მოიგლეჯს და გამართავს შკოლას, უფრო იმიტომ, რომ იმათი შვილები იმათზე მოშორებით არ იქნებიან და სანდისხან პატრონებს მოეხმარებიან...

ს. ზაქარიძე.

პერიოდითი განცხადება

გამოვიდა სტამბიდამ და ისყიდება თბილისის წიგნის მაღაზიებში და გ. წერეთლის სტამბაში წიგნი:

თარგმანნი

სასმო საკითხავთ თხზულებათა

გამოცემული

ქართველი ქალებისაგან

წიგნი პირველი

სარჩევი: მკითხველს (წინასიტყვაობის მაგივრათ).—პარიჟელი ბიჭი.—ამერიკელი ქალები მეთვრამეტე საუკუნისა.—ჟულ ტარრო.—უკანასკნელნი დღენი ნათანიელ როსელისა

ფასი ყოველგან ორი აბაზი

ეს წიგნეი ისყიდება:

ქუთაისში: გუბერნიის სტამბაში.
გორში—კნ. ნინა ერისთავისას
ახალციხეს—ანნა მუსხელოვისას
სიღნაღს—რაჟდენ ციციშვილთან
თელავს—ლევან ჯანდიერიშვილთან
ოზურგეთს—მელიტონ ღოღობერიძესთან.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Декаббря, 1872 г. გ. წერეთლის და ამხ. სტამბაში. გამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი. რედაქტორი ს. მესხი.